ჩემი საქართველო

Story by

გიორგი ებრალიძე

ჯაბა მელქაძე

Copyright (c) 2016

Final Draft

1. **INT.** ტექნო-პარკი - დღე

სამი მოზარდი (ორი ბიჭი და ერთი გოგო - 11-13 წლის) ამზადებენ ხელნაკეთ დრონს. დრონს კორპუსზე აწერია სახელი - "ახალი დრონი".

მოზარდები ბოლო დეტალს ამაგრებენ. დრონი უცნაურ ხმას გამოსცემს, ბავშვები გახარებულები გადახედავენ ერთმანეთს. ერთ-ერთი სამართავ პულტს მოიმარჯვებს და დრონიც აფრინდება.

2. **EXT.** ტექნო-პარკი - დღე

დრონს ბავშვები გარეთ გამოაფრენენ და თვითონაც ტოვებენ შენობას.

ბავშვებს უკვე დრონის თვალით ვხედავთ. დრონი სულ უფრო მაღლა მიფრინავს და შესაბამისად ბავშვებსაც სულ უფრო ვშორდებით.

ვშორდებით ტექნო-პარკს და გადავივართ თბილისის ხედზე.

3. **EXT.** ლესელიძის ქუჩა - დღე

დრონი ლესელიძის ქუჩას გადაუფრენს.

ვხედავთ ქუჩაში მოსიარულე ხალხს და 3-4 ტურისტს, შესაბამისი ჩაცმულობით, რომლებიც ინტერესით ათვალიერებენ ქუჩას.

4. **EXT.** ქუჩა - დღე

პრემიერი ოჯახთან ერთად ქუჩაში მისეირნობს. მათ გამვლელები ესალმებიან. პრემიერიც თავაზიანად ესალმება გამვლელებს.

5. **EXT.** რაგბის მოედანი - საღამო

რაგბისტები მოედანზე ვარჯიშობენ. ერთ-ერთი წინ გაიჭრება და ლელოს დადებს. გახარებული წამოხტება.

6. **EXT.** კახეთი - ვენახი - საღამო

6-7 წლის ბავშვი მირბის ვენახებს შორის. კამერა მას ზურგიდან მიყვება.

ბავშვი თავის ოჯახთან მირბის (ბებია, ბაბუა, დედა, მამა, ძმა

– 16 წლის). ოჯახის თითოეული წევრი ყურძნის კრეფით არის დაკავებული.

ბავშვი მირბის და თან მამას ეძახის, რომელიც ბავშვს გამოხედავს, ხელგაშლილი დახვდება და ხელში აიტაცებს. ვხედავთ ოჯახის წევრების ბედნიერ სახეებს.

ვენახს დრონი გადაუფრენს და ოჯახთან ჩერდება. მამა და პატარა ბავშვი ამჩნევენ დრონს და ხელს უქნევენ, დანარჩენი ოჯახის წევრებიც აყვებიან.

დრონი ვენახს ტოვებს და მიფრინავს.

7. **EXT.** კლინიკა – დღე

დრონი თანამედროვე კლინიკასთან მიფრინდება. ჩაუფრენს ფანჯრებს. ინტერიერში ვხედავთ ჯანდაცვის მინისტრს, თეთრ ხალათში, რომელიც თანამშრომლებს (ექიმებს) რაღაცას გულდასმით უხსნის, ისინიც ყურადღებით უსმენენ.

ჯანდაცვის მინისტრი დრონს ამჩნევს. უღიმის და ხელს უქნევს. თანამშრომლებიც დრონისკენ იხედებიან და იღიმიან.

8. **EXT.** კოჯორი – დღე

ჯარისკაცების ოცეული მთაზე არბის, ვარჯიშობენ.

დრონი მათ გადაუფრენს. ჯარისკაცები ამჩნევენ და ესალმებიან დრონს.

9. **EXT.** ყაზბეგი – დილა

ვხედავთ ცხვრის ფარას და შორიახლოს მეცხვარეს.

დრონი მიფრინავს მეცხვარესთან.

დეტალი: ცხვრის კრეჭა

10. **EXT.** ყაზბეგი – ქემფინგი – საღამო

დრონი მიფრინდება ადგილზე, სადაც ცეცხლის გარშემო 4 კარავია გაშლილი. ცეცხლთან 5 ახალგაზრდა ზის (2 გოგო, 3 ბიჭი – 22-25 წლის). რაღაცეებს ყვებიან, თან იცინიან. ფონზე ვხედავთ სამების ეკლესიას.

ერთ-ერთი კარავიდან გოგო გამოდის, მასთან ერთ-ერთი ბიჭი მიდის. მოულოდნელად მის წინ მუხლებზე დგება და ბეჭედს აჩვენებს. გოგოს სიხარულის ცრემლი მოსდის.

11. **EXT.** ფეხბურთის სტადიონი – საღამო

ენერგეტიკის მინისტრი თავის შვილებთან და სხვა ბავშვებთან ერთად ფეხბურთს თამაშობს. მის მიერ ჩაწოდებულ პასს ერთ-ერთი ბავშვი კარგად გამოიყენებს და კარში გოლს გაიტანს.

შემდეგ კადრში მინისტრი ბავშვების გარემოცვაში დგას და ბურთზე ავტოგრაფს ტოვებს.

12. **EXT.** მიწის ნაკვეთები - დღე

დრონი მიწის დამუშავებულ ნაკვეთებს გადაუფრენს.

13. **EXT.** სოფლის სახლი - საღამო

დრონი სოფლის სახლს უახლოვდება და უკანა ეზოში ჩაფრინდება.

ეზოში ბაბუა ეთამაშება 5-6 წლის შვილიშვილს.

ბაბუას ხელში აყავს ბავშვი და ცხენზე სვამს. ფრთხილად ატარებს ცხენს. ბავშვს ძალიან უხარია.

სახლის ვერანდიდან ბებია უყურებს ამ სცენას და ეღიმება.

დრონი ტოვებს ეზოს და მიფრინავს.

14. **EXT.** ავტობანი - დღე

დრონი ახალ და მშენებარე ავტობანებს გადაუფრენს. რაღაც მომენტში მას პატრულის მანქანები აცილებენ. რომლიდანაც მომღიმარი პოლიციელები უქნევენ ხელს.

15. **EXT.** ორსართულიანი მატარებელი - დღე

დრონი დაძრულ მატარებელს ჩაუფრენს.

16. **INT.** ორსართულიანი მატარებელი - დღე

მატარებელში 4 ახალგაზრდა ზის, მათ შორის 2 ტურისტი და მატარებლიდან აღფრთოვანებულები ათვალერებენ საქართველოს.

17. **EXT.** ურეკის სანაპირო - საღამო

მოქალაქე ოჯახთან ერთად სანაპიროზე მისეირნობს. დრონი ზღვის მხრიდან უახლოვდება. მოქალაქე და ოჯახის წევრები ამჩნევენ დრონს და ხელს უქნევენ. დრონი ტოვებს მათ და მიფრინავს.

18. **EXT.** ბათუმი - დილა

ვხედავთ თევზსაჭერს და მის ფონზე ბათუმის ხედს. თევზსაჭერზე ორი მეთევზე თავის საქმიანობით არის დაკავებული.

დრონი მეთევზეებთან მიფრინდება. მეთევზეები ამჩნევენ და ხელისდაქნევით ესალმებიან დრონს.

19. **EXT.** ბლეს სი არენა - ღამე

დრონი "ბლექ სი არენას" გადაუფრენს (სახურავი გადახდილი აქვს). ვხედავთ სავსე ტრიბუნებს და სცენაზე მუსიკოსების ჯგუფს.

ამ დროს მუსიკა ბოლოო, კულმინაციურ მომენტში შედის, შესაბამისად განათებებიც მაქსიმალური სიმძლავრით ირთვება.

დრონი დარბაზში ჩაფრინდება. ვხედავთ ნაცნობ სამ მოზარდს (დრონის შემქმნელებს), რომლებიც სამართავი პულტის საშუალებით მართავენ დრონს. ტრიბუნებზე უამრავ ადამიანს ვხედავთ. უამრავ ადამიანს შორის ვხედავთ იმ ზოგიერთ პერსონაჟსაც, რომლებიც დრონმა საქართველოს შემოფრენისას დააფიქსირა (რაგბისტები, ტურისტებს მატარებლიდან და გოგო-ბიჭებს კემპინგიდან). ასევე მინისტრებს და ახალ სახეებს, რომლებიც ხალხთან ერთად დგანან

სამართავ პულტზე ერთ-ერთი მოზარდი გამშვებ ღილაკს თითს აჭერს და სცენის დიდ ეკრაენზე დრონის მიერ გადაღებული კადრების კოლაჟი ირთვება.

მუსიკა და მაყურებელის ემოცია კულმინაციას აღწევს. დროშები ფრიალებს (საქართველოს, ევროკავშირის, პარტიის ბრენდირებული). ყველას უხარია, ყველა ერთად მღერის.

კადრების კოლაჟით ეკრანზე საქართველოს დროშა იხატება.